საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ფორე მოსულიშვილის სახლ-მუზეუმი

ფორე მოსულიშვილის სახლ-მუზეუმი სოფ. ქვემო მაჩხაანში.

ფორე მოსულიშვილის სახლ-მუზეუმი, **მ**-ის მემორიალური მუზეუმი სიღნაღის მუნიციპალიტეტის სოფ. ქვემო მაჩხაანში. დაარსდა 1972. მუზეუმში დაცულია გმირის მემორიალური ნივთები: მედლები, ორდენები, ალბომები, ფოტოები, დოკუმენტები, პირადი ჩანაწერები. განსაკუთრებით საინტერესოა სამხედრო მოვლენების ამსახველი რუკები, სამხედროებისა და **მ**-ის თანამებრძოლების მოქმედებების ქრონიკა.

მუზეუმში აგრეთვე წარმოდგენილია ეთნოგრ. მასალა. მუზეუმი თანამშრომლობს ადგილობრივ სკოლებთან.